სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07- ნოემბერი, 2023 წელი

ბრძანება № 01-02/204

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „საბიბლიოთეკო საქმე“ ცვლილების შეტანის შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 იანვრის N01-02/18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, (ცვლილება და დამატება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/40 დადგენილებით), „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე“ ცვლილების შეტანის შესახებ” **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 იანვრის N01-02/18 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის ჯილდა აბაშიძის 2023 წლის 31 ოქტომბრის №1469351 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „საბიბლიოთეკო საქმე“ ცვლილების შეტანის შესახებ” **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 იანვრის N01-02/18 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის</u> „საბიბლიოთეკო საქმე“ (დანართიN1) **სასწავლო გეგმა ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის</u> „საბიბლიოთეკო საქმე“ სასწავლო გეგმის მიხედვით წარიმართოს სასწავლო პროცესი <u>ამავე პროგრამის</u> 2023 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის.

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „საბიბლიოთეკო საქმე" ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 იანვრის N01-02/18 ბრძანებაში"
ცვლილებებს შეტანის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ნოემბრის N01-02/209 ბრძანების დანართი N1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საბიბლიოთეკო საქმე"

ცხრილი N1. სასწავლო გეგმა

| | მოდულის დასახელება | მოდულის ფაქტორი | ენიჭება | კოდი | საერთო საათების | დამოუკიდებელი | სულ | ზაფხულის პრაქტიკის | ზამთრის (საგაზაფხულო) პრაქტიკის | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | |
|---|---|---